ბიჭუნა, თქვი ბისმილლაჰ (ალლაჰის სახელით), ჭამე მარჯვენა ხელით და იმ მხრიდან, რაც შენთან ახლოს არის

გადმოცემულია 'უმარ იბნ აბი სალამასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "მე ვიყავი მოზარდი ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მზრუნველობაში და ჩემი ხელი თეფშში აქეთ-იქით მოძრაობდა. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «ბიჭუნა, თქვი ბისმილლაჰ (ალლაჰის სახელით), ჭამე მარჯვენა ხელით და იმ მხრიდან, რაც შენთან ახლოს არის». ამის შემდეგ ყოველთვის ასე ვჭამდი.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

'უმარ იბნ აბუ სალამა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელიც იყო მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეუღლის უმმ სალამას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შვილი და მოციქულის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, გადმოსცემს, რომ ჭამის დროს ხელით საჭმელს თეფშის სხვადასხვა ადგილიდან იღებდა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას ჭამის სამი ეთიკა ასწავლა: პირველი: ჭამის დასაწყისში «ბისმილლაჰ» -ის (ალლაჰის სახელით) წარმოთქმა. მეორე: მარჯვენა ხელით ჭამა. მესამე: იმ მხრიდან საჭმლის ჭამა, რომელიც ახლოსაა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/58120